18

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლო

სამშაბათი
22 სექტემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ. [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 181 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 181

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უვალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გ ა ზ [illegible] რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალ[illegible] ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ[illegible]გობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე

პატივისცემით აცხადებს, რომ 27 სექტემბერს ამა 1915 წელს, დილის 10 საათზედ, დანიშნული არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება

ამოსარჩევათ 8 ამომრჩევლების სახელმწიფო სათათბიროში და სხვა რამოდენიმე საყურადღებო კითხვების განსახილველათ. 6—1

განცხადება.

კავკასიის სამთამადნო მართველობა აცხადებს, რომ 29 ამა სექტემბერს 1915 წლისა, ქ. ქუთაისში მოწვეულია შორაპნის მაზრის **შავი ქვის მრეწველთა** არაჩვეულებრივი **კრება** კავკასიის პირველ სამთომადნო ოლქის სტატს-სოვეტნ[ი]კის აზრამ გოიგოლის ძის **ცეიტლინის** თავჯდომარეობით შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1) სიეზდის მდივნის არჩევა; 2) მიენიჭოს საბჭოს უფლება სესხის აღებისა, რადგანაც, ომის გამო საფუთო გადასახადი შესწყდა; 3) საფუთო გადასახადის გადიდება ¼ კაპიკით საბჭოსაგან აღებულ სესხის გადასახდელათ. 2—1

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
სამსონ დ. თეზიშის ქართული დედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გადაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ **სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით.** სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: სამზადისოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით
სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

ექიმი გ. დ. **ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი [illegible]თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. **ჩარეძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო[illegible] „**რადიუმი**“ თეატრი
კვირა[illegible]რიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.
ისპახიის [illegible]იდამოების სანახაობა.
მილიონერის ჰიპნოზის ქვეშ
ოთხ ნაწ., მეხუთე და მეექვს[illegible] სერიის გაგრძელება. ფრიად საგულისხმო სერიები.
კომიკური სურათი. **ერ[illegible]ი ორისათვის** კომიკური სურათი.

ანონსი: ამ დღეებში [illegible]ვენები იქნება სენსაციური სურათი ნორდისკისა:
ტაბორის ქალ[illegible]ვილი—თავისუფლების ბავშვი.
მხატვრული დრამა სამ ნაწი[illegible]ათ ნათამაშევი ევა ტამსონის მონაწილეობით.

ამ მოკლე ხანში დაიწყებ[illegible] **სეზონი** ქართული წარმოდგენებისა
—მ-(25 ესეზონი)—
დასში უმთავრესად იქნებიან [illegible] პირნი, რომელთაც შარშანდელ ზამთრის სეზონში არ უმსახურნ[illegible]ათ. დასს მეთაურობს შალვა დადიანი.
დაწვრილებით შემდეგში. 2—1.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საავენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.**

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

რუბანის ქუჩ., დიდი კაზარმების მახლობლათ
იყიდება
ოთხი თვალი აგურის შენობა
სამზარეულოთი და მოწყობილობით. ეზო ზომით ასი ოთხკუთხი საჟენი. მოსალაპარაკებლათ შეიძლება მიმართოთ თეთრ ხიდთან ბათლომე მოსეშვილის ხეტეის საწყობში ა. 1—1

უმაღლესი ბრძანება.

პეტროგრადი. 20 სექტემბერი. გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც, პრიამურის საგენერალგუბერნატოროს ყველა ოლქიდან გაწვეულნი იქნებიან პირველ და მეორე ხარისხის სათადარიგო ჯარისკაცნი.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

თბილისი. კავკ. ჯარ. შტაბისაგან. ოფიც. 17 ეკენისთვის განმავლობაში ოლთისის მიმართულებით ჩვენი მზვერავები წარმატებით მოქმედებდენ. მელაზგერთის გზით სოფლებ, მოლაილთან და დომიანთან ჩვენს ცხენოსან ჯარს შეტაკებები ჰქონდა ოსმალოებთან. ვანის გზით ჩვენი ჯარი ოსმალებს ავიწროებს. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

18 ეკენისთვე. ოლთისის მიმართულებით ოსმალთა მზვერავების ცდა იერიშის მიტანის შესახებ მთების ზარაკეტისა და ჩილგარის შუა უნაყოფოთ დარჩა. ვანის გზით ჩვენმა ჯარმა შეავიწროვა ოსმალები და ბრძოლით აიღო მტრის პოზიციები. უკან დევნას განვაგრძობთ.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 19 ეკენ. ოფიციალური. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან. გრაეკაუს რაიონში გერმანელები, უშედეგო იერიშებს განაგრძობდენ. გერმანელების მძიმე არტილერია იაკობშტადტის აღმოსავლეთით ყუმბარებს უშენდა ლივენგოფს. დვინსკთან, რამდენიმე პუნქტზე რკინის გზისა და სიუერ-სვენტენის შუა გერმანელების იერიშებმა ცოტათი ჩვენი ჯარი შეავიწროვა. დვინსკის სამხრეთით მდებარე დემენის ტბისა და დრისვიატის ტბის შუა საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული. სვენტენის აღმოსავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა უკუაქცია გერმანელები და დაიკავა მათი პოზიცია. შტიკით ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ სასაფლაო ჩერემშიცასა და სტახოვცთან (ნაროჩის ტბის სამხრეთისა და ილზის სანაპირო წვერებთან, ვიშნევსკის ტბის რაიონში) ამ პუნქტების დაკვრით მტერი იძულებული გახდა შესამჩნევათ დაეწია დასავლეთისკენ. ვილეიკ პოლოცკის რკინის გზის რაიონიდან. [illegible]რგონის ჩრდილოეთით, გუშინ დაწყებული სასტიკი ბრძოლა კვლავ გძელდება. ზალუჟიესთან ბრძოლაში მდ. ზემოშარაზე, ლაახოვიჩის სამხრეთით ერთმა ჩვენმა ბატალიონმა მტერი ძლიერ შეავიწროვა სიმაღლეებიდან, დაკარგა რა თვითონ 9 კაცი, ტყვეთ წამოიყვანა [illegible] ოფიცერი და 109 ჯარისკ[illegible] [illegible]რის რაიონში სოფ. დამანეს[illegible] [illegible]კის სამხრეთ-აღმოსავლეთით) [illegible]რძოლა არ შეწყვეტილა მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში. გამარჯვების მოპოებისათვის მტერი ყოველგვარ სიმკაცრეს ჩადის. კულიკოვიჩის სამხრეთით მდ. სტირზე (კოლკის ქვემოთ) ჩვენი კავალერიის პოლკის აფიცრისა და 2 ჯარისკაცის დასახიჩრებული გვამები ვიპოვნეთ. ესენი ტყვეთ იქნენ წაყვანილი 15 ეკენ. მტერს მისთვის ამოეთხარა თვალები, ჩამლეწია კბილები და მიეცათ სხვა პრილოგები.

შავ ზღვაზე, ჩვენმა ხომალდების ბრიგადამ ზარბაზნები დაუშინა ქვა-ნახშირის საწყობებს ზაგულდაკში. ნავსადგურის დამცველი ბატარეია მალე იქნა ჩაჩუმებული.

17 ეკენ. თარიღით გამოქვეყნებული თავის საერთო დასკვნას, ავსებს რა დამატებითი ცნობებით შტაბი აცხადებს, რომ 20 დღის განმავლობაში ენერგიული ბრძოლების შედეგებით, რომელი ბრძოლებიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა ვილეიკის რაიონში, ბრძოლის ველზე წარმატება მტერს ჩვენი ხელიდან გამოვგლიჯეთ.

20 ეკენისთვე. დვინსკთან, ილუკსტის სამხრეთ-დასავლეთით, რკინის გზის რაიონში გერმანელების იერიში არტილერიის ცეცხლით მოვიგერიეთ. დემენის ვივრის ტბების ხაზზე არტილერიის სროლაა. გრეზენტალის რაიონში დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით, გერმანელები გაიქცენ ჩვენი არტილერიის ცეცხლის დაშენის შემდეგ. და-ცალეს სოფ. ტილჟა. დრისვიატიცაზე გადასვლის ცდამ მტერს უნაყოფოთ ჩაუარა. ჩვენის ცხენოსნის ჯარის ნაწილმა განდევნა გერმანელები სოფ. ბესცენკიდან, ბოგინსკის ტბის სამხრეთით. კოზიანის სამხრეთით სოფ. დევიატინკზე იერიშის მიტანის დროს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ბევრი გერმანელი ამოსწყვიტა. ბრძოლით აღებულ ფოლვარკთან (ტბის სამხრეთის წვერი) ძლიერი სისხლის ღვრა მოხდა. მტერმა ჯერ არტილერიის ცეცხლი დაანთო და შემდეგ კონტრ-იერიში მოიტანა, რასაც შედეგათ ჩვენი დახვევა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა ფოლვარკიდან. ახალი იერიშის მიტანით ჩვენმა ჯარმა კვლავ განდევნა გერმანელები ფოლვასკიდან და სოფ. სტახოვციდან. ამ ბრძოლის დროს წავართვით მტერს 8 გაუბიცი და 6 სუბუქი ზარბაზანი. გერმანელების მიერ კონტრ-იერიშის მიტანამდი ზარბაზნების წამოღებს ვერ მოვასწარით, ხოლოდ შევსძელით მათი გაფუჭება. შტიკებით შეტევის დროს ჩვენმა ჯარმა მტერს თხრილები წაართვა ძლიერ გამაგრებულ პოზიციებზე, სოფელ. ბოლატაგუზთან ვიშნევსკის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სმორგონის რაიონში მტრის ორი იერიში მათთვის დიდი ზარალით მოგერებულ იქნა. ნოვოგრუდკის, ჩრდილო-აღმოსავლეთით დ. ლიუბჩასთან მდ. ნემანზე გადმოსული გერმანელები განდევნილ იქნენ მდ. მარცხენა ნაპირზე სისწრაფით, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე 100 მოკლული ჩარტორიისკსა და კოლკის შუა, სოფლებ ნოვოსელკისა და კულიკოვიჩის რაიონში რამდენიმე წვრილი შეტაკება მოხდა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 19 ეკენ. სალმოს ოფ. ცნობა. ბელგიაში ჩვენი მძიმე არტილერია, ეხმარებოდა ინგლისის ფლოტს ვესტენდესთან მტრის ბატარეიებზე ზარბაზნების დაშენის დროს. არტუაში მტერმა ძლიერი საარტილერიო სროლა აუტეხა ჩვენს ფრონტის მთელ ხაზს. ჩვენ ენერგიულათ ვუპასუხებდით. ძლიერი საარტილერიო სროლა იყო ბერიობაკიდან ჩრდილოეთით კოლერის ფერმის მიმართულებით, და სამხრეთით სეპანიელის გეზით, რომლის დროსაც მტერი სულის შემხუთავ გაზიან ყუმბარებს ხმარობდა. შამპანში, გაასსა და მოზელს შუა ფლირის ჩრდილოეთით მტერმა ჩვენს პოზიციებს არტილერიის გრიგილისებური ცეცხლი დაუშინა, რომელიც ყველგან ჩავაჩუმეთ. ლოტარინგიაში მტრის ახლი ძალების შეკუფებას ხელი შეუშალეთ. შამპანში ერთმა ჩვენმა ჰაეროპლანმა არტილერიის ცეცხლი დაუშინა მტრის ჰაეროპლანს რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და ძირს ჩამოვარდა. სამოცდახუთი ჰაეროპლანისაგან შემდგარმა რაზმმა ვეუმირკანის გზის სა[illegible] [illegible] სადგურ შორლანს სა[illegible] [illegible] ეს რიგი, ყუმბარები მი[illegible]ებოდა. მეორე ადგილას სად[illegible]ლანის ახლოს ყუმბარებმა მიმავალი [illegible]ტარებელი გაგლიჯა.

გავრა. ბელგიის ოფიციალური ცნობა. 19 ეკენისთვე. ღამემ წყნარათ ჩაიარა. დილით მტერმა დიქს მიუდესთან რამდენიმე დემონსტრაცია მოახდინა, რომელიც ძლიერი ყუმბარების დაშენაში გამოიხატებოდა. დიქს მიუდესთან ჩვენს თხრილებს მტერმა ოთხასამდე ყუმბარა ესროლა და კიდევაც მისი ნაწილის ალებაც მოახერხა, მაგრამ ამის შემდეგ მალე ისევ თხრილებიდან განდევნილ იქნა. დანარჩენ ფრონტზე მტრის არტილერია სუსტათ მოქმედებდა. ჩვენ ენერგიულათ უპასუხებდით.

ლონდონი. გრეიმ ნება დართო გამოაქვეყნონ შემდეგი ცნობა: მიღებულია ცნობები, რომლისგანაც სჩანს, რომ უკანასკნელ დღეებში ბულგარეთის ჯარებში ავსტრიელებისა და გერმანელების აფიცრებმა იწყეს მისვლა, ამ შემთხვევაში გერმანელების მოქმედების ხასიათი ისეთივეა, როგორც ოსმალეთში, სადაც მათ ოსმალეთის მთავრობა აიძულეს რუსეთისათვის უმიზეზოთ, ომი გამოცხადებინა იმის გამო, რომ მოკავშირეებს დადებული აქვთ ხელ შეკრულება, რომლის ძალითაც უნდა დაეხმარონ იმ სახელმწიფოებს, რომლითაც ბულგარეთის ასეთ მოქმედებისაგან, რაიმე საფრთხე მოელის, ამ გვარ ცნობებს აქ სერიოზულათ სთვლიან.

თეირანი. 18 ეკენისთვე. ინგლისელები ბაღდადისაკენ ენერგიულათ მიიწევენ. ოსმალოებმა 1700 ტყვე, ბევრი ზარბაზანი და სამხედრო დავლა დაჰკარგეს. ინგლისელები მათ სამხედრო ავტომობილებითა და ტიგროსში მოსიარულე მოტორიან ნავებით სდევნიან. უკანასკნელი ცნობებით ინგლისელები კაზიზს მიადგნენ, ბაღდადიდან ასი ვერსის მანძილზე.

პარიზი. 18 ენკენისთვე. გაზეთ „ტანის" ცნობით ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები სოფიიდან ბულგარეთის მთავრობას თავიანთი სახელწიფოების გადაწყვეტილებას აცნობებენ, რომ თუ ბულგარეთი სერბიას თავს დაესხა, იმ შემთხვევაში სერბიას მხარს დაუჭერენო.

ათინა. ვენიზელოსს პალატა მხურვალე ტაშის ცემით შეეგება. მან წარმოსთქვა სიტყვა რადოსლავოვის იმ განცხადების გამო, რომელიც ბულგარეთის შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს შეეხებოდა. მან სთქვა: საბერძნეთმა ამ განცხადებაზე უპასუხა, რომ ვიდრე ბულგარეთის მობილიზაციის სახე გამოირკვეოდეს საბერძნეთის მობილიზაციაც, რომელიც ბულგარეთის მოქმედებითა გამოწვეული. უნდა მივიჩნიოთ როგორც შეიარაღებული ნეიტრალიტეტი. მიუხედავათ ამ ორი სახელმწიფოს მხრით ასეთი განცხადებისა ვენიზელოსის აზრით მდგომარეობა სერიოზული, ოპოზიციის ლიდერმა გუნარისმა, ვენიზელოსის განცხადება მოიწონა. ათინის სააგენტო აღნიშნავს, რომ ვენიზელოსმა თავის სიტყვაში სადაც ის საბერძნეთის ნეიტრალიტეტის დაცვას ეხებოდა, განაცხადა, რომ საბერძნეთს სერბიასთან მეგობრული კავშირი აქვს, რასაც ის დაიცავს თუ ამას საჭიროება მოითხოვსო.

I

ორი ლექსი

ძალო [illegible]ო! ოდეს შენსა წმიდა ტაძარში
წ[illegible]ართები სალოცავად, დიდებად შენდა
როდესაც ჩემ სულს ზეაღვსილის ზეციურ გრძნობით
დაავიწყდება მიწიერი ვნება და სევდა.

მაშინ არა გთხოვ მეუფებას, არც დღეგრძელობას
არა გთხოვ, ვიყო ბედნიერი მარად სვიანი,
ძალო [illegible], ჩემი ლოცვა მხოლოდ ეს არის:
გთხოვ, გევედრები, მომეც ტანჯვა იმდენი,

რადგან ტანჯვაა თვით სიცოცხლის, ყოფნის სიმბოლო
და იმედი კი—შვების სხივი დაჩაგრულისა;
ტანჯვის ცეცხლით მსურს დავსწვა კერპი კაცთ ბოროტების
და იმედით კი ვაქო ღმერთი სიყვარულისა!

II.

ზღვაზე.

მო[illegible]ლ ზღვაზე ცელქად მიმყავს ჩემი ნავი,
ც[illegible]ურ ზღაპარს მეუბნება უხილავი.
მხტუნავ ტალღებს ჩახვევია მზის ბრჭყვიალა სხივთა კვალი,
შორს იტაცებს ტყვე-ქმნილ თვალებს მოლივლივე ზღვისა ჰავლი,
ცის ფერია ციდან მასმენს საოცნებო სიმთა ჟღერას
და მქუხარე ტალღათ ქნარი მეუბნება ამ სიმღერას.
„ამაყ ჭაბუკს შურის მქონე არ დაგზოგავს სევდა, დარდი,
ზღვის მეუფეს მოეწონე! ზღვის მეუფეს შეუყვარდი!
დაგავიწყებთ ქვეყნის ტანჯვას, დაგიკრიფავთ ცისფერ იას,
ჰანგს გიმღერებთ სულ სხვა და სხვას; გამსახურებთ ცის ფერიას:
ხელი უშვი, ხელი—ნიჩაბს! წყლის ზედა პირს ნულა ჰქაფავ,
ზღვის მეუფეს შეუყვარდი: გადაგყლაპავ! გადაგყლაპავ!.."
მე ამაყად წინ მივცურავ; ისევ ვუსვამ მედგრათ ნიჩაბს
და მომხიბლავ მაცდიურ ჰანგებს კვლავ ვუბრუნებ უკან ზღვის ქაფს
ოხ! რამდენჯერ ეს მუქარა მწარ ცხოვრების ღელვილ ზღვისა—
სულმა ჩემმა გადიტანა, სულმა ჩემმა შეითვისა!
მხოლოდ გულს კი სხვა ჰმუნვა აქვს, სხვა ფიქრების სევდა ჰკოცნის...
ეხ!.. ნეტავი მომავალი სად წამიღებს, სად გამტყორცნის?!...

სიმ. წველი.

ომის ამბები.

ფრანგი ინჟინრები.

ადესაში ოთხი ფრანგი აფიცერი სპეციალისტი სამხედრო ინჟინერი ჩამოვიდა. ესენი რუსეთის მთავრობის თხოვნისამებრ არიან გამოგზავნილი საფრანგეთიდან, რომ რუსეთში სამხედრო მრეწველობის მობალიზაცია წესიერათ მოაწყონ. რუსეთის მთავრობამ ეს ინჟინრები ბრიანსკის ცნობილ ქარხანაში გაგზავნა. (კ. ს.)

მდგომარეობა ბულგარეთში.

გაზეთი „ვეჩერნიე ვრემია" სიმართლეთ არ ცნობს, თითქო მალინოვი, ტოდოროვი და გენადიევი (ბულგარეთის რუსოფილი მინისტრები) როდოსლავოვი მხარეზე გადავიდენ. საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა. დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთის აზრით, მეფე ფერდინანდის დეპეშას, რომელიც მან საბერძნეთის მეფეს, კონსტანტინეს გაუგზავნაო (ვ. ვ.)

რუსეთის ფრონტზე.

რუსეთის მდგომარეობა, ფრონტზე ჟურნალ „რუსკი ინვალიდის" აზრით ასეთია: „თუმცა რუსის არმია თავისი უკანა რაზმების საშუალებით სასტიკ და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ იგი გენერალურ ბრძოლას მაინც გაურბის, და რამდენიმეთ აღმოსავლეთისაკენ უკან-უკან იწევს.

კრონშტადტში.

პეტროგრადის მცველი მთავარ[illegible] სიმაგრე, კრონშტადტი ამ დღეებში [illegible] ნიკოვსკის წინადადებით სახელ. სათათბიროს დეპუტატების ერთმა ჯგუფმა ინახულა. (თ. ფ.)

ისევ რუსეთის ფრონტზე.

რუსეთის ფრონტზე მტრის არმია ის გადაჯგუფების პროცესშია: პოდესიეში მყოფი ჯარების ერთი ნაწილი ნემცებმ მეორე, უფრო აქტიურ და მნიშვნელო ვან ხაზზე გადიყვანეს:

ეს არის კოზიანი,—კრევოს ხაზი და ვილეიკა—ივენეცის რაიონი. სწორეთ გადაჯგუფების შედეგია ის, რომ ამ მათ მდ. ნემანსა და პრიპიატს შუა შ დარტყმით სიწყნარე ჩამოვარდა. (რ.)

ბ უ ლ[illegible]

ბუქარესტიდან [illegible] რო

ბულგარეთის აგრარიების წინამძღოლმ სტომბულინსკიმ საპროტესტო ქაღალ წარუდგინა როდოსლავსო. ბულგარ თის სხვა კუთხეებიდანაც, მიდის მობ ლიზაციის საწინააღმდეგოთ საპროტესტ წერილები. როგორც გაზეთ „უტრ როს." ატყობინებენ ბულგარეთი ომ 23 სექტემბერს გამოაცხადებსო.

ბ უ კ ო ვ ი ნ ა შ ი.

როგორც პუდოლის მოგიელევიდა დეპეშით აუწყებენ გაზეთებს, ბუკოვინი საკენ ავსტრიის დიდძალი ჯარი დაიძრ იქ ახლა ავსტრია—გერმანიის, დიდი ძ ლებია თავმოყრილი და შეტევასაც მალ დაიწყებენ.

ქ. მ ი ნ ს კ შ ი.

ქალაქში ბევრი სახელმწიფო დაწესე ბულება ისევ დატოვეს. ახლა მილიცია აწყობენ.

მოკავშირეების საერთო შეტევა.

ნეიტრალური მოკავშირეები, საერთო შეტევას ომის გადამჭრელ მომენტათ თვლის. შვეიცარიის ერთი გაზეთი სწერს: „თუ მოკავშირეების ჯარმა გერმანელთა სიმაგრეების მესამე ხაზიც გაარღვია, შინ გერმანელები საერთოთ უკან ვას დაიწყებენ. ინგლისის ერთი გა კი წინააღმდეგ იმ აზრისაა, რომ მოკავ შირეების პირველი გამარჯვებით გადამ ჭრელი მომენტი ჯერ კიდევ არ დაწყე ბულაო. (კ. ს.)

პირდაპირი გზით.

სტამბოლიდან გაზეთებს აუწყებენ, რო ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის [illegible] ქონლის გაცვლა-გამოცვლა პირდაპირ გზით დამყარდა და განუწყვეტლივ სწარ მოებს: ჩატალჯას გზით ყოველ დღე 50 ვაგონს ატარებენ.

შთაბეჭდილებანი.

დასასრული იხილე „სამშობლო"-ს № 179-ე

რიგმა ჩემამდისაც მოაწია, მეც დამიძახეს. შევედი,—კათედრაზე ზის ბ. მსაჯული მკაცრი გამომეტყველებით, მარცხნივ გვერდით უზის თარჯიმანი, რომელიც მსაჯულის სიტყვებს სანახევროთ უთარგმნის მთხოვნელებს და ათჯერ უფრო მკაცრად უყურებს უკანასკნელებს; მარჯვენა გვერდით საკუთარ სტოლს უზის ერთი კარგათ ჩაცმული კაცი გულზე აკადემიის ნიშნით; როგორც აღმოჩნდა, ვექილი. გავიგონე, ერთმა გლეხმა წასჩურჩულა მეორეს „ორი სუდია ყოფილა აქაო".

რაოდენიმე წამის შემდეგ მითხრეს-მოიცადეო და გამომისტუმრეს გარეთ. აქ დაქანცულმა ხალხმა ლაპარაკს მოუმატა, რასაკვირველია, დაბალი ხმით. ზოგი რას ჩიოდა და ზოგი რას, ყველა ამის გადმოცემას ჩემისთანა მწერალი ვერ შესძლებს. გამოველ ბალკონზე თუ არა, ერთი გლეხი მომიახლოვდა და მკითხა:—ბატონო, თქვენ რა საქმე გქონდათ. მე მოკლედ ვუთხარი ჩემი საქმის გარემოება.

— მერე რა გადაგიწყვიტეს?

„არც მე ვიცი, მერე გამოგიცხადებო, მითხრესთქო, მივუგე.

— ოჰ, რა სატანჯველში ჩავარდი, ბატონო, ჩემი ანბავი რომ იცოდე შეგებრალებით.

რა იყო? დავეკითხე.

— ჩემს მეზობელს ჩემი ფული ემართა, ჩემი ოფლით ნაშოვნი ვასესხე. აღარ მომცა ვუჩ ვლე, გადავყევი თან, ლისტიც გამოვიტანაე მოვიდა და მითხრა: ფულის მიცემა არ შემიძლია და ადგილი ამართვი შენ ფულშიო.

მეც დავეთანხმე, ოღონდ გამისტუმრე და გინდა ნაცარი მომეცი თავის ფასადთქო. თვითონ მიმიყვანა მწერალთან, დამიწერა ნაყიდობა, ვითომც ნაღდ ფულად მეყიდოს, ასე უნდაო, მითხრა მწერალმა და კიდევაც ჩამიწერა ნაყიდობაში ფასი ამდონი და ამდონი მივიღეო. ეს ნაყიდობა რომ მომცეს, ჩემი ლისტიც ამოვიღე, დავხიე მათთან და გადავყარე. თურმე ის წერალი, მოყიდული არ ჰყოლია ჩემ მეზობელს, მეორე დღესვე მალვე მისთვის დაუწერა თხოვნა და შეუტანინებია ამ სუდში—გუშინ ნაყიდობა მივეცი ჩემს მეზობელს №-ო და რადგანაც იმისაგან ფული არ მიმიღია, გთხოვთ,-ის ნაყიდობა გაბათილებული იქნეს, როგორც უფულო. დამიბარეს მოწამედ მეც მწერალი დავნიშნე, მეტი არავინ იყო იქ. ახლა ვექილები მეუბნებიან, უვექილოდ უთოდ წააგებო, რადგანაც მწერალი იტყვის ფულის მიცემა არ მიყურებიაო. აღარ ვიცი, რა ვქმნა. ჯერ ლისტის გამოტანა რამდენი დამიჯდა, ახლა რომ ვექილი ავიყვანო, ხომ სულ გადავყვები თან; არა და სახლში აღარ მიმიშვებენ რად მოტყუვდიო. ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა ერთი მოხუცი, რომელსაც რაღაც ქაღალდი ეჭირა ხელში. გასწია შეჯგუფულ კაცებს ხელით, წამოიწია წინ და უთხრა ამ შეწუხებულ მომჩივანს: „სწორედ წააგებ, ძმაო, ახლანდელ სამართალს რომ ვხედავთ, გირჩევ, თვით დაანებო და სახლში წახვიდე, თორემ ორი მაგდენი დაეხარჯება და საქმეს ვერ მოიგებ. ხომ ხედავ, ძმაო, აგერ დაღამდა, ერთი თხოვნა მაქვს შესატანი და ეს ვერ შემიტანია, არავინ მიიღო. წინეთ რომ კარები გაიღო, ახლოს, მიველი და გაუშვირე მოსამართლეს, ისეთი შამომიყვირა, თუმცა მე რუსულისა არა მესმის რა, მაგრამ შტრაფი კი გავიგონე, რომ არ გამესწრო, მგონი ნაოზახშიდაც გამგზავნიდა; სადღაა სამართალი ძმაო?!"

ამ სიტყვების შემდეგ მომიბრუნდა, ერთი კარგათ ამოიოხრა და სთქვა: „აი, ბატონო, რა დროში ვიყავით და რა დროს მოვესწარით. თქვენ გენახსოვრებათ ალექსანდრე ხელმწიფის სამართალი. აი, სამართალიც მაშინ იყო და მოსამართლეც. მაშინ ჩვენი სუდი ზესტაფონში იყო; სლინკო გახსოვთ? სუდია სლინკო? ოჰ, რა კაცი იყო. ღმერთმა დალოცოს მისი გამომგზავნი. თუმცა რუსი იყო, ჩვენი ენა არ ესმოდა, მაგრამ ანგელოზი იყო. რომ მივიდოდით, მაშინვე გვკითხავდა:—რა გინდა ქაცო? და მიგვიშვერდა ხელს მდივნისაკენ, იმასთან მიდიო. მივიდოდით, ის ჩვენი კაცი იყო, მოგვაყოლებდა ჩვენ საჩივარს, დასწერდა, თუ მოწმეები იყო საჭირო, მოწმეებს დაგვანიშვნინებდა და თუ საბუთი იყო, გვეტყოდა ესა და ეს საბუთი მოიტანეო. დანიშნულ ვადაზე მივიდოდით, ჩვენ არაფერი არ გვეხარჯებოდა. მოპასუხეს მოწმეებს, ყველას იქ დაგვახვედრებდნენ და საქმე იმ დღესვე გადაგვიწყდებოდა.

ახლა, დაგიფაროს ღმერთმა! ახლა, თუ ვექილი არ აიყვანე და იმან არ უჩვენა მოსამართლეს, ასე და ამ კანონით გადაწყვიტეო, უეჭველად წააგებ საქმეს. ოჰ, ის ალექსანდრეს სამართალი, რომ კიდევ შემოვიდოდეს, ერთ სიყმაწვილეს კიდევ გავივლი".

— ახლაც იმავე ალექსანდრეს სამართალი არ არის?! ჩამოერია ამ ბაასში ერთი ადგილობრივი ინტელიგენტი.

„არა, ბატონო, არა, მაგას ნუ მეტყვით, ახლა სულ სხვა კანონია. ალექსანდრეს კანონი ამას როგორ ბრძანებდა, მთელი დღე იმ კლდეზე ვიხრაკებოდი კინაღამ იმ ხრამში გადავარდი, თუმცა მოხუცებული კი ვარ, მაგრამ დღეს ჩემ სახლში ერთი მანეთისას კიდევ გავაკეთებდი რასმეს; მთელი დღე ვეხვეწები და მზად—დაწერილი თხოვნა ვერავის მივაღებინე.

— მართალია, თხოვნებს, სანამდი ყველა საქმეს არ გაარჩევს მოსამართლე, მანემდის არ იღებს? დავეკითხე.

„აქამდის მოსამართლეები ჯერ თხოვნებს იღებდნენ, მერე საქმეების გარჩევას შეუდგებოდნენ, ერთი საქმის გარჩევას შეუდგებოდნენ. ერთი საქმის გარჩევას, რომ გაათავებდნენ, სანამ მეორეს დაიწყებდნენ, მაშინაც იღებდენ თხოვნებს, მაგრამ, რომ იტყვიან: მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო, სწორედ ასე მოგვივიდა ჩვენც. ახალი მოსამართლე მობრძანდა და ასეთი წესები შემოიღო: თხოვნებს, სანამ ყველა საქმეებს არ გაარჩევს, არ იღებს. მასთან, წინეთ მოსამართლეები, ერთ საქმეს, რომ გაარჩევდნენ, თუ რამე დიდი საქმე არ იყო, გადაწყვეტილებასაც მაშინვე დაადგენდენ, გამოუცხადებდენ მომჩივან მოპასუხეებს და გაანთავისუფლებდნენ. ახლა კი, რამდენ საქმესაც გაარჩევს, გვერდზე გადადებს და ყველა მომჩივან მოპასუხეს სადამომდის აცდევინებს განჩინების გამოცხადების მოსასმენლად. მაშინ ყველას ერთად გამოუცხადებს დ ამის შემდეგ თხოვნებს მიიღებს. აი, ამი ტომ არის, რომ დილიდან დაწყებულ სამ საათამდის მაინც ერთი კაციც არ აკლდება და ყველანი ასე იტანჯებიან.

მესამე საათი გადიოდა, უცებ კარებ [illegible]

[illegible]

შემოქმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი და ბულგარეთი.

ოგორც „კ. ს. დეპეშით უწყებენ ისტრთა საბჭომ, ბულგარეთის გამოს- აზე გარეშე საქმეთა მინისტრის, სანოვის მოხსენების შემდეგ ის აზრი ოთქვა, რომ რუსეთმა აუცილებრივ ები უნდა მიიღოს ბულგარეთის წინამდეგ, და თუ საჭირო იქნა ულტიუმიც უნდა წაუყენოს.

პირველი შეტაკება.

ერბიის, მდგომარეობა დღითი-დღე კრიული ხდება. ომის გამოცხადების ნიშ- ი (ბულგარეთის მხრივ) უკვე გამოხ- ბულგარეთის საზღვრებზე პიროტის ბულგარელი „დრუჟინნიკები“ თავს ვენ სერბიის საზღვრების მცველებს გარეკეს.

ერბიის ტერიტორია ჯერ თუმცა დაის, მაგრამ მერე ისევ უკანვე გამონდენ და ბულგარეთის საზღვრებში ანაკდინ

[illegible]ის ამბები.

[illegible] საფრანგეთის პარლამენტის უტატმა, პიერმა მასსემ, ერთი ახალ ხედრო კანონ-პროექტი შეიტანა პატაში. ამ კანონ-პროექტით ზანგების ლი დიდი არმია უნდა შეადგინონ, საკუთრებით აფრიკასა და აზიის კოლნიების მცხოვრებთაგან.

მასსეს აზრით ამისთვის საჭირო იქნება კილობრივ მცხოვრებთ ორი პროცეი ჯარში გაიწვიოს და ამ ნაირათ ლ რამდენიმე კვირაში მარტო აფრის მკვიდრთაგან სამას ათასი ჯარის ცი შეკრიბონ. სულ აზიისა და აფრის მცხოვრებლებლისაგან. ამ გზით მოვალ გაზაფხულზე საფრანგეთს 700,000 ე ჯარის კაცისაგან შემდგარი ზანგების მი ეყოლება. (დ.)

სერბიაზე გალაშქრება.

კოპენგაგიდიდან გაზეთებს ატყობინეს, რომ სერბიას და ბულგარეთ შორის კინის კზით მიმოსვლა შეწყდა. ბულგაეთში სერიოზული სულიერი განწყოლებაა, დემონსტრაციები არა სჩანს. ოფიის რუსოფილებს ისევ იმედი აქვთ, რომ საკითხი მშვიდობით გზით გადაწყდება. ამბობენ სერბია დათმობის გზას იბთო.

ავსტრია-გერმანიის, დიპლომატია ოგარეთის მთავარ მინისტრს აუწყელდა, რომ სერბიაზე გალაშქრება შეჩერდა, ამიტომ იგი 18 სექტემბრამდი არ დაიწყებაო.

ფრანგთა და ინგლისელთა გამარჯვება.

ფრანგ-ინგლისელების გამარჯვების გა ო, ლონდონელი კორესპონდენტის დიაელი დეპეშით გაზეთებს შემდეგს აუწყებს. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ნემცების პოზიციები დაეცენ. თუმცა გერმანელებს ისინი ფოლადის გაურღვეველი ჯებირები ეგონათ. შეიძლება საჭირო იყო ცოტა კიდევ დაგვეცადა, ვიდრე ლილოიდ ჯორჯის, მეცადინეობა თავის სრულ ნაყოფს გამოიღებდა და მერე დაგვეწყო საერთო შეტევა; მაგრამ საერთო მდგომარეობა, განსაკუთრებით რუსეთის გაჭირვება, ნებას არ გვაძლევდა, რომ საქმე შემდეგისათვის გადაგვედო. „მივეგებოთ გამარჯვების ამბავს, წერს ზემოხსენებული გაზეთი, დამშვიდებით და მის შედეგებს გავაზვიადებთ და ნურც, მის მნიშვნელობას დავამცირებთ. (რ. ვ.)

ქრონიკა.

რუ[illegible]ი.

სიცრუე.

სტოკოლგმიდან დეპეშით აწყებენ, რომ იქ პეტროგრადიდან, დეპეშათა სააგენტოსაგან ცნობა მიიღეს, რომ ვითომ ახელ. სათათბირო ხალხის სულისკვეთების წინაამდეგ წავიდა, უარყო მან საყოველთაო ლოზუნგი: „ყველაფერი ომისთვის“ და ამიტომ დაითხოვესო, ნეტა რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა დეპეშათა სააგენტო, როცა ასეთ სიცრუეს აუწყებდა ქვეყნიერებას? ჰკითხულობს გაკვირვებით გაზეთი „რუს. ვედ.“ სათათბიროს დათხოვამ როგორც იუწყებიან, უცხოელებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. (რ. ვ.)

სათათბირო.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბანაკში მომხდარმა მინისტრთა საბჭოს სხდომამ, რომელიც „რეჩის“ გადმოცემით სამ საათს გაგრძელდა, სათათბიროს ხელახლავე მოწვევა ჯერჯერობით შეუძლებლათ იცნო. მოსკოვის დეპუტაციების აუდიენციაზე მიღების ვადაც შემდეგისათვის გადადვეს.

ხმები.

პეტროგრადში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ ხელმწიფის ბანაკში მინისტრების წასვლა უმთავრესათ სათათბიროს მოწვევის საკითხით არის გამოწვეული.

იმასაც ამბობენ რომ სათათბიროს 25 სექტემბერისათვის მოიწვევენო.

რიაბუშინსკის განცხადება.

რუსეთის ოპოზიციონური, ბურჟუაზიის წინამძღოლმა რიაბუშინსკიმ, როძიანკოს საყვედურის გამო, რომ მრეწველები ბევრს ლაპარაკობენ და საქმეს კი არ აკეთებენო, შემდეგი განაცხადა: „მრეწველები წინდა წინვე აფრთხილებდენ საზოგადოებას, რომ მობილიზაციის შედეგი ძალიან მცირე იქნებაო; როძიანკოს სიტყვები ყოველ შემთხვევაში გადაჭარბებულათ უნდა ჩავთვალოთო“. (რ. უ.)

უკანასკნელი ცნობა.

უკანასკნელი ცნობით ხელმწიფე იმპერატორის ბანაკში გამართულმა სხთომამ მინისტრენისამ დაადგინა, რომ მოსკოვის დეპუტაციები აუდიენციაზე არ დაუშვან, მხოლოთ მათ სიეზღების ნაყოფიერი მუშაობისათვის მადლობა გამოეცხადოთ. სათათბიროს 1 ნოემბრამდე არ მოიწვევენ, მემარჯვენეები კიდევ ხმებს ავრცელებენ, რომ მომავალ წლამდე სათათბირო დათხოვნილი იქნებაო.

ბოლგარეთი და ომი.

რუსეთის ულტიმატუმი.

პეტროგრადი. ოფიც. 20-9 გარეშე სამინისტრო აცხადებს საყოველთაოდ, რომ საიმპერატორო ელჩს ებრძანა წარუდგინოს ბოლგარიის მთავრობას შემდეგი შინაარსის ნოტა: „ამბები, რომლებიც ხდება ბოლგარიაში მოწმობენ, რომ მეფე ფერდინანდის მთავრობას საბოლოოთ გადაწყვეტილი აქვს ბოლგარიის ბედი გერმანელებს ჩაუგდოს ხელში. გერმანელ, და ავსტრიელ ოფიცერთა ყოფნა, სამხედრო სამინისტროში და არმიის შტაბებში, ჯარების თავის მოყრა სერბიის მომიჯნავე ადგილებში, ფართე ფინანსიური დახმარება, რომელსაც ღებულობს სოფიის კაბინეტი, ჩვენის მტრებისგან, ეჭვს აღარ ჰბადებს, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული საომარი მზადება ბოლგარიის მთავრობისა. შეთანხმების სახელმწიფოებს, რომელთაც ახლო გაიზიარეს უზრუნველყოფა ბოლგარიის მისწრაფებათა, არა ერთხელ გაუფრთხილებიათ როდოსლავოვი, რომ ყოველივე მტრული მოქმედება სერბიის წინაღმდეგ, ისინი თავის წინააღმდეგებათ ჩასთვლიდენ. როდოსლავოვის ფიცი ამ გაფრთხილებათა გამო ეწინააღმდეგება ფაქტებს. რუსეთის წარმომადგენელი, იმ რუსეთისა, რომელიც დაკავშირებულია ბოლგარიასთან მის ოსმალოს უღლიდან განთავისუფლების უჭვნებ ხსოვნით, ვეღარ დარჩება იმ ქვეყანაში, რომელიც ემზადება ძმათა სისხლის დასაღვრელათ, მოკავშირე სლავიანურ ხახზე.“

საიმპერატორო ელჩს ებრძანა დასტოვოს ბოლგარია, მთელის მისსით და საკონსულოებით, თუ 24 საათის განმავლობაში ბოლგარია, აშკარათ არ ჩამოშორდება სლავიანთა და რუსების მტრებს, და ეხლავე ზომას არ მიიღებს თავის ჯარიდან იმ სახელმწიფოთ ოფიცრების დათხოვას, რომლებიც ეომებიან შეთანხმების სახელმწიფოთ.

ქართველ მამადიანების მწერლობა—ხელოვნების შესახებ.

საყურადღებოა ის, რომ ახლანდელი ჩვენი ზრუნვა ზატრონობის საგანი—ჩვენი მოძმე, გამაჰმადიანებული ქართველები დიდ ნიჭს და ხელოვნებას იჩენდენ ძველათ ქართულ ლექსობა-გალობის შემოქმედობაში.

მთელ დასავლეთ საქართველოში, გავრცელებული რთული მუსიკალური ხმოვანებით შეზავებული სიმღერა „ხასან ბეგურა“ რუს-ოსმალოთა ბრძოლაში, ყირიმის ომის დროს, სახელგანთქმული სარდლის, ხასან-ბეგ (ხასან-ფაშა) თავდგირიძის გამოგონილია და, შემდეგ, ხალხურათ გადაქცეულა.

სამწუხაროთ, ქართული სიმღერები მუსიკალური ხელოვნების მცოდნეთაგან, ჯერ კიდევ ვერ არის აღნიშნული და ჯეროვანათ დაფასებული. მოვა დრო, თუ დახელოვნებული, ნასწავლი და ნიჭიერი კომპოზიტორები [illegible]ლენ, „ხასან-ბეგურას“ „ქობულეთურ[illegible]ხავს“ „მაყრულს“ და სხვა მრავალ გამაჰმადიანებულ ქართველებისგან შექნილ სიმღერებს უპირველეს ადგილს აკუთვნებენ, ჩვენს მუსიკალურ ხელოვნების ისტორიაში.

მთელი დიადი ტრაგედია ჩვენი მოძმე მამადიანი ქართველების ის იყო, რომ კულტურით, ისტორიით, სულიერის განწყობილებით, ნათესავური და მეგობრული, დამოკიდებულებით მუდამ მოძმე ქართველებთან იყვნენ [illegible]ვშირებული და პოლიტიკური [illegible]თ-კი მათი მიმართულება, აზრი, [illegible]ლების გეგმაც სულ სხვა და სხვა იყო... ჩვენი ისტორიის მკვლევარნი და ჩვენებური ძველი ლიტერატურა,-ხელოვნების სწავლა ძიების მსურველნი დღემდის იმ აზრის მიმდევარნი იყვნენ, რომ, რაკი გამამადიანებული ქართველები სარწმუნოებით დაგვშორდენ და პოლიტიკირათაც განსხვავებულ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას შეეთვისენ, ჩვენ შორის თითქმის კავშირი გაწყვეტილი ყოფილიყოს. არც ერთ ჩვენებურ მწერალს დღემდი არ მოუწადინებია გაეგო მოსაზრება-შეხედულობა, სოფლმხედველობა [illegible] მოძმე მამადიანების მოთავ[illegible]ის. ყველგან ისტორიის წერის [illegible]საც და თვით ცხოვრების დამოკიდ[illegible]ბაშიც ადამიანი იმ გრძნობა-განწყო[illegible]ბის გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელიც მის გარშემო არსებობს. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რო რუსის სამფლობელო ომის დროს, როდესაც ოსმალეთი შემოესია გურიას—ხასანფაშა ნდობით შემოვიდა თავის მოძმე ნათესავებთან. მან მოლაპარაკება გამართა მათთან. მარა გურულები უცბათ, მოულოდნელათ, თავს დაეცენ მის მცირედ ჯარს გათხრილის ძირში, და გურიაშიც სახელ-განთქმულ ხალხთან სიმღერებით შეთვისებული რაინდი ხასანბეგი მოკლეს და მისი თავი რუსის მთავარ-სარდალს მიართვეს... ამ გარემოების შესახებ ლექსი აქვს დაწერილი ყარამან თავდგირიძეს, რომელიც ბიძაშვილათ ერგებოდა ხასან ფაშას.

„ხასან ფაშა ჩემი ძმაი, თავ-მოჭრილი დავინახე...
თუმცა იყო მტერი, მარა, ვაი მეთქი დავიძახე!..
მან გადამწვა წინ კვირაში, მით მიეგო ცუდი მახე,
მარა, რადგან ძმაი იყო, ბოლოს, კიდევ მე დავმარხე“.

ხასან ფაშა დამარხულია გათხრილის გზის აღმართში და ეს ლექსი აწერია საფლავის ქვაზე. ეს ლექსი დღეს გავრცელებულია ხალხში—ხელხვავის და „ხასანბეგურის“ სიტყვებათ. ხასან ფაშა კარგი მცოდნე იყო ქართული ლექსობით. მისი ლექსებიდან მხოლოდ ერთი მოვძებნე, ჩვენი ოჯახის წევრთ შორის შენახული. ეს ლექსი მოწერილია გურულ მანდილოსნისადმი ხასან ფაშისაგან, რომელიც ყოველთვის ხალისიან განწყობილებით ეპყრობოდა ყველა ნაცნობებს:

ქალო, შენ გაქებს ყოველი ადამიანთა ენები.
ზიხარ გონივრათ გაზდილი, აღვილათ არ იხსენები;
თვალ წარბზე ია [illegible]ხის, ლოყაზე ვარდის ფერები,
ღვთის მადლმა, გ[illegible]თ მიყვარხარ, პირში არ მოგეფერები!!.

უეჭველია, ბევრგან არის გურიაში კერძო ოჯახთა შორის, განსაკუთრებით თავდგირიძეების ნათესაობაში ამ ნაირი ლექსები. დიდი მადლობით მივიღებთ და ვისარგებლებთ „სახალხო ლექსების“ აღწერა-განმარტებისათვის ამნაირ მასალებს, თუ კი ვინმე მოგვაწვდის.

ნიკო თავდგირიძე.

(ჟურნ. „განთიადი“)

რა გვიხსნის სიძვირისაგან?

I

პირველ საჭი[illegible]გნების საზოგადოთ, და კერძოთ [illegible]ნოვაგის გაძვირებამ, ყველა მეომარ სახელმწიფოების მცხოვრებთა მასსების მდგომარეობა აუტანელი გახადა. არც ბრძოლის ველზე შეწირული უთვალავი მსვერპლი, არც შინ ომისთვის გაწეული ხარჯი, არც ომისგან დანთებულ ქარცეცხლით აწიოკებულ-აყრილ ქალაქებისა და სოფლების გადახიზვნა-„გადავარდნა“ ისე არ აშფოთებს და აღელვებს საზოგადოების ფართე მასას, ხალხს, როგორც პირველ საჭიროების ნივთების და სანოვაგის გაძვირება. სიძვირე ომამდეც იყო, მაგრამ ომით გამოწვეული გადაჭარბებული „სპეკულიაცია“ მხმარებელთა მოთმინების საზღვარს აღემატება: ისედაც ომისგან აოხრებულ-დამშეული ხალხი „ცხოვრების გაძვირებას“ ველარ იტანს და ამის გამო ხმა მაღლა პროტესტს აცხადებს. ამ ნიადაგზე თითქმის ყველა მეომარ, სახელმწიფოებში მოხდა სტიქიური არეულობა და განსაკუთრებით კი ამ მოვლენამ **რუსეთში, და გერმანიაში იჩინა თავი:** პირველში-შინაურ მოუწყობლობის მიზეზით, ხოლო მეორეში-მოუსავლობისა და „ბლოკადის“ გავლენით.

ორივე დასასრულ სახელმწიფოების მთავრობები, შეუდგენ ამ მოვლენის წინაღმდეგ ბრძოლას, მაგრამ რას ვხედავთ?!

გერმანიაში ხალხის სტიქიურმა პროტესტმა, და მისი წარმომადგენლების ხმის ამაღლებამ მთავრობა „რეფორმების“ გზაზე დააყენა; რუსეთში კი მთავრობამ მხოლოთ ბიუროკრატიულ-რეპრესიულ ზომებს მიმართა. როგორც ხედავთ მათ შორის აქ დიდი განსხვავებაა და აქედან ცხადია ბრძოლის ნაყოფი ამ მხრითაც სულ სხვა და სხვა უნდა იყოს.

და მართლაც ახლა ყველამ იცის, რომ გერმანიაში, სამრეწველო ქვეყანაში, ანოვაგის სიძვირე გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე სასოფლო სამეურნეო რუსეთში. პურის ნაკლებობა გინდ სხვა რომელიმე სანოვაგის, მაგალითად, ალყა შემორტყმულ, მსხვილ-მრეწველ გერმანიის, სმიერიდან ისე აღარ შეაწუხებს, როგორც ეს მუდმივათ არყევს, და აშფოთებს პურით მდიდარ, თვალ უწვდენელ რუსეთის დიდ იმპერიას. რაშია საქმე, რითი მიაღწია გერმანიამ ასეთ თვალსაჩინო შედეგს?

როგორც სხვა ყველაფერი, ისე აქაც გერმანიამ, პირველი მაგალითი მისცა ქვეყნიერებას: ომის გავლენით იგი იძულებული გახდა საზოგადოებრივი წარმოება წესრიგში მოეყვანა: სახელმწიფოს ძალით წარმოების ორგანიზაცია მოეწყო, კერძო ანარქიული წარმოება საზოგადო წესიერ წარმოებათ გადაექცია: ის შეეცადა, რომ მრეწველობა-ვაჭრობა, რამდენადაც კი დღევანდელ პირობებში ეს შესაძლებელი იყო, „გაესაზოგადოებრივებია“. ასეთია ტენდენცია მისი „რეფორმების“ და ამ გზას დაადგა იგი მტკიცეთ.

პირველი ნაბიჯი ასეთ „რეფორმებისა“ გზაზე მის მიერ გადადგმული არის „პურის მონოპოლიის“ გამოცხადება, და პურის „მიხლობით“ მცხოვრებთა შორის დანაწილება.

ახლა კიდევ გერმანიის მთავრობამ, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ გზაზე, და ეს არის **„ყველ გვარი სანოვაგის მუნიციპალიზაცია“**.

რაში მდგომარეობს ეს, ამაზე შემდეგ.

დელი.

დეპეში.

გუშინ შემდეგი დეპეშა გაიგზავნა ქუთაისიდან პეტერბურგს:

სახელმწიფო სათათბიროს წევრს ჩხენკელს, ძლი სათათბიროს თავჯდომარეს როძიანკოს, დეპუტატებს: მილიუკოვს, ეფრემოვს, შიდლოვსკის და გრაფ ბობრინსკის.

დღეს ქ. ბათომში გამოცხადდა განაჩენი 9 აჭარლის შესახებ. 6 მათგანს მისჯილი აქვს სიკვდილი. განაჩენმა მთელი მცხოვრებლები დაალონა. ხელმძღვანელებისა და უბნის უფროსების ჩვენებით გამოირკვა, რომ მტრის ძალების შემოჭრის დროს მთელი მცხოვრებლები სთხოვდენ ადგილობრივ მთავრობას არ წასულიყო, პირდებოდენ რა თავისი მხრით დახმარებას ჯარს. გამოირკვა აგრეთვე, რომ ციხის კომენდანტის გენერალ ელშინის ბრძანებით მუსულმან მცხოვრებლები იდევნებოდენ საცხოვრებელ ბინიდან აჭარის შუა გულისკენ ოსმალთა ჩეტნიკების შესახვედრათ. ყველა ეს და ბევრიც სხვაც ოქმებშია აღნიშნული. ბრალდებულთა უდანაშაულობა ყოველ ეჭვს გარეშე და დამტკიცებულია. გთხოვთ იშუამდგომლოთ სასჯელის შესამსუბუქებლათ. საჭიროა შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე.

დამწვევლები: თავადი ფალავა და ევ. გეგეჭკორი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, 22 სექტემბერს [illegible] კ. ი. დადაშვილი ქართულ თეატრში წაიკითხავს ფრიად საინტერესო ლექციას შემდეგ თემაზე: „მოგზაურობა და სასახლის მოშაირეები ძველ საქართველოში“ ვეფხვის ტყაოსანის კითხვას მუსიკალური დემონსტრაციით მე-XII და VXII საუკუნეში.

◆ შაბათს, 19 სექტემბერს, ქალაქის სანიტარულმა ექიმმა დადუნაშვილმა და ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ დაათვალიერეს აბანოები, წყლის ქარხნები და გააფრთხილეს პატრონები, დაიცვან სისუფთავე.

◆ ტულის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლის წინადადება მოუვიდა, რათა ქუთ. გუბერნიის თავად აზნაურობა შეუერთდეს იმ თხოვნას, რომლითაც ტულის გუბერნიის თავად აზნაურობამ ხელმწიფე იმპერატორს მიმართა. ხსენებულ თხოვნაში აღნიშნულია, უყურადღებოთ დატოვებული იქნას პროგრესიული წრეების მოთხოვნანი შინაგან რეფორმების შესახებ. და სხ. ეს მიმართვა ახლოა ე. წ. „შავი ბლოკის“ მიმართულებისა.

◆ ს. მღვიმევიდან (შორაპ. მაზ.) გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს „ბურმა“ და „ჭრაქმა“ ისე გააფუჭა ვენახების ყურწი, რომ საეჭვოა მომავლისათვის გამოდგეს მამულები.

◆ კვირას, 20 ეკენისთვეს, ქართულ თეატრში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის საღამო. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

◆ კვირას, 20 სექტემბერს, ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა უკვე არსებული არქიის გორაზე „აკაკის“ სახელობის და ბალახვანის ქუჩის „შოთა რუსთველის“ სახელობის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ. ბაღი კოხტათ იყო მორთული. აზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო.

◆ შაბათს, 19 ეკენისთვეს, ქართულ თეატრში გაიმართა ვ. ლორთქიფანიძის კონცერტი. საზოგადოება ბლომათ დაესწრო და დიდი ტაშის ცემით დააჯილდოვა ჩვენი ნიჭიერი მუსიკოსი. სამწუხაროთ კონცერტი თითქმის რუსული გამოდგა.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, ნება დართო საშუალო და დაბალ სასწავლებლებში სახელმძღვანელო წიგნათ შემციღონ ახახანაშვილის „სიტყვიერების ისტორია.“

◆ 18 სექტ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ქალაქში რძით მოვაჭრეებს უსათუოთ თან უნდა ქონდესთ თავისი ვინაობის მოწმობა. დამნაშავენი დაისჯებიან.

◆ 23 სექტემბერს შესდგება აგრონომ პ. დანიილოვის თავმჯდომარეობით მთელი გუბერნიის აგრონომთა კრება: გასარჩევი საგანი. 1) გამოყოფა IV რაიონისა 2) გახსნა მეტეოროლოგიური სადგურისა და 3) ტეხნიკური და ხაზთ აღრიცხვის საკითხები. კრების გათავების შემდეგ მთელი შემადგენლობა დაათვალიერებს ქ. ოზურგეთისა და ს. კულაშის საცდელი მინდვრებს.

◆ ფოთის ქალაქის გამგეობამ დასამტკიცებლათ წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს დადგენილება იმის შესახებ რომ ნიკო ნიკოლაძეს დენიშნოს პენსია 5000 მ. მის დიდი ხნის მოღვაწეობის გამო.

◆ ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა კავკასიის მეფის მოადგილე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩამობრძანდება თბილისს 23 სექტემბერს.

◆ ქალაქის საქმეთა საკრებულო ატყობინებს ქუთ. ქალაქის გამგეობას, რომ მეფის მოადგილის საბჭომ სასურველათ სცნო მიეცეს უფლება, რომ ქართველმა ებრაელებმა ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რადგანაც ისინი მკვიდრი მცხოვრებნი არიან საქართველოსი და მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან ქართველობისაგან და დიდათ განირჩევიან რუს ებრაელებისაგან. მათი ნება ეძლევათ იყოლიონ საბჭოში $^1/_{10}$ მთელი შემადგენლობისა.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ, თანახმათ ქუთაისის გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებასა, რომელიც გამოიცა საგუბერნიო უწყებებში 1915 წ. აგენტების მიერ შედგენილი ოქმები სანიტარული წესების დარღვევისათვის დღეიდან გაეგზავნება გ. გუბერნატორს, რომელიც დამნაშავეთ დააჯარიმებს 100 მანეთით.

გ. ტაბიძის საღამო.

კვირას, 20 სეკტემბერს, ქალაქის თეატრში მგოსან გალაქტიონ ტაბიძის საღამო გაიმართა. საღამოს ხალხი ბლომათ დაესწრო, უმთავრესად მოსწავლე ახალგაზდობა. საღამო დაიწყო პაოლო იაშვილის საუბრით, რომელშიაც ლექტორმა თავისი შთაბეჭდილებანი გაუზიარა საზოგადოებას, რომელიც თვით განიცადა მან თავის მგზავრობის დროს პარიზსა, ლონდონსა და სკანდინავიაში მსოფლიო ომის დაწყების დროს.

შემდეგ, მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით ნათამაშევი იქმნა მოკლე პიესა „ნაპოლეონის სიკვდილი“. არ შეიძლება ითქვას, რომ პიესა კარგათ იყო შესრულებული. მონაწილენი იმპერიის დროის ტანსაცმელებში გოგოლის „რევიზორის“ სვისტულკინებს და დერჟიმორდებს უფრო ჰგავდენ, ვიდრე ნაპოლეონის ამალას, ან ინგლისელ გუბერნატორ გუდზონს.

უფრო საინტერესო იყო ის განყოფილება საღამოსი, როცა მწერლები თავის ნაწარმოებთ კითხულობდენ. ძლიერ მოეწონა საზოგადოებას შალვა დადიანისგან წაკითხული პატარა ლექსი და მისივე პატარა ეტიუდი. ასევე არ შეიძლება ითქვას შოთა დადიანზედ, რომელმაც საღამოსთვის შეუფერებელი ჰუმორისტული ნაწარმოები წაიკითხა. ვარლამ რუხაძეს საზოგადოებამ რამდენჯერმე ათქმევინა ლექსები. წაიკითხა აგრეთვე თვისი ნაწარმოები აკაკი ფაღავამ.

მომღერალმა ვ. ლორთქიფანიძემ ქართულ-რუსული რომანსები შეასრულა, რაც საზოგადოებას ძალიან მოეწონა. ერთგვარ ინტერესს წარმოადგენდა აგრეთვე პაოლო იაშვილისგან წაკითხული ლექსები ელენე დარიანისა. როგორც თვით იაშვილმა განაცხადა, ეს ლექსები ერთ ქართველ პოეტესას ეკუთნიან და ჯერ არსად არ ყოფილან დაბეჭდილნი, რადგანაც ქართულ გამოცემათა რედაქციებს ვერ უკისრიათ მათი გამოქვეყნება*). დასასრულ ლექსი სთქვა თვით გალაქტიონ ტაბიძემ. საზოგადოება მგოსანს ტაშით და თაიგულებით შეხვდა.

X.

ბრძოლის ველიდგან.

ომის დაწყებიდან დღევანდლამდე ჩვენმა სანიტარულმა რაზმმა 105 ბინა გამოიცვალა ე. ი. 105 ალაგას იდგა და ღამე გაატარა. ზოგან ერთი დღე და ღამე, ზოგან მარტო ერთი ღამე ზოგან თითო კვირა ან ცოტა მეტ ნაკლები. იყო შემთხვევა, როდესაც სამი თვე ერთ ალაგას იდგა, საშუალო რიცხვით კი გამოდის თითო ბინაზე ოთხი დღე.

ხშირი გადასვლა-გადმოსვლა რასაკვირველია უფრო გაზაფხულზე და ზაფხულზე უხდებოდა, ვიდრე შემოდგომაზე და მით უმეტეს ზამთარში. ეს იმით აიხსნება, რომ გერმანელებმა მეტი იერიში და მეტი მოქმედება გაზაფხულ-ზაფხულში იციან.

რაზმმა გაიარა (ბრიგადასთან ერთად რასაკვირველია) ლომჟის გუბერნია, იყო ვარშავში და მის მიდამოებში კოვნოს გუბერნია, კურლიანდიის გუბერნია და დღეს ვიტებსკის გუბერნიაში.

დმინარეები შეგვხვდა: ვისლა, ნარიოგი, ბზურა, დუბისა, ნემანი, დვინა.

ცვალებადი იყო ჩვენი ცხოვრება: დღეს რომ დიდებულ სასახლეში ვიდექით, ხვალ ბინძურ ქოხებში გვიხდებოდა დგომა დღეს რომ ედემის მსგავს ბაღში გვქონდა გაშლილი პალკები, ხვალ მთელი ღამე უძილოთ უნდა გაგვეტარებინა დაჭრილების პატრონობაში ზარბაზნების ჭექა ქუხილში, დღეს ჩინებულ, კოხტა პატარძალივით მორთულ პატარა ოთახებში რომ ვიდექით, ხვალ უიატაკო მიწურ ოთახში ხუთ ექიმს და ერთ აფიცერს გაუხდელებს თივაზე უნდა გვეძინებოდა და კიდევ კარგი თუ ასეთ პირობებში მაინც ღამეს მშვიდობით გავატარებდით და დილამდე ვიძინებდით, ხშირად შუაღამისას შტაბის განკარგულება მოგვდის: მტერმა ეს და ეს ადგილი დაიჭირა დაუყოვნებლივ ამა და ამ ალაგს გადადით ამ გადასვლა, გადმოსვლის დროს როდესაც ხშირად მხვდებოდენ ეს მეფური პოლონური მემამულეების სასახლეები, მაგონდებოდენ ჩვენი გაღატაკებული მემამულეები. ნეტა მთელ საქართველოში ორი სამი ამ გვარი სასახლე (ГОСПОДСКІЙ ДВОРЪ) მოიძებნებოდეს, მაგრამ ჩვენმა, თავის დროზე შეძლებულმა თავად აზნაურობამ, ხომ მამულიც და დედულიც უცხო ერის შვილებს ჩაუგდო ხელში. თვისი უთავბოლო „დროს გატარებით“ მაგრამ დავანებოთ თავი ჩვენ თავად აზნაურთ, რომლებიც ამ ბოლო დროს თითქმის გამოფხიზლდენ ჩვენდა სასიხარულოთ და დავუბრუნდეთ ისევ აქაურ ამბებს, რომლებიც ალბათ მკითხველს დღეს აინტერესებს.

კურლიანდიის ერთ ერთ სოფელში ერთი სურათი ვნახე, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს ხსოვნაში: ლატიშელი მოხუცი გლეხის დედაკაცი ზის ჩაცუცქული, გულხელ დაკრეფილი და შესცქერის თავის ეზოს ყარაულს—დიდ ძაღლს რომელიც სალაფავსა სჭამს; ქალი ნაღვლიანად რაღასაც მოსთქვამდა თავის სამშობლო ენაზე. ჩვენ აზრით მიხვდით—იგი ეთხოვებოდა თავის ძაღლს, რომელსაც ალბათ ყარაულათ სტოვებდა თავის სახლში იმ დროს, როდესაც მას უხდებოდა საჩქაროთ გასვლა, რადგან მტრის ყუმბარები მის არე მარის ახლო ხვდებოდა.

ლატიშელმა ქალმა სათითაოდ ჩამოუარა ყოველ კუთხეს თავის კარ-მიდამოს, თვალ-ცრემლიანი მოთქმით (ტირილით) ეთხოვებოდა შრომითა და ქაფით შეძენილ ქონებას.

მაგრამ განა მარტო ეს ერთი სურათი? ბევრი შეგხვდება ამისთანა და საჭიროა მხატვარი იყო, რომ საუკუნოდ მხატვრულად გადიღო შთამომავლობისთვის ქაღალდზედ.

ამ ჟამათ ჩვენი რაზმი დვინის მარჯვენა ნაპირზე დაბა დგას. ჩვენს პირდაპირ, დვინის მარცხენა ნაპირზე ქალაქი იაკობშტატია. დ. კრეიცბურგში; სამხედრო ხალხის გარდა თითო ოროლა მშვიდობიანი მცხოვრებნიც მოიპოვება. ქ. იაკოშტატში კი ჭაჭანება არაა.. ქალაქი მკვდარია, მკვდარი. დღისით გაიარე და არა ბუნებრივად მეჩვენა, რომ ქალაქის სახლებს სძინავთ. თურმე უსულო საგნებსაც სცოდნიათ ძილი ისიც იმ დროს, როდესაც სულ ახლო მათთან ჯოჯოხეთური ჭექა ქუხილია. საკვირველათ მიმაჩნია რომ თუნდაც უსულო საგნებს შეუძლიანთ ასეთი პირობებში ძილი.

ნელი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ფ. ბზვანი. (საჩინოს მხარე.)

ქონებრივათ შეძლებული ძველი საჩინო (მას სიმშილობის დროს მთელი იმერეთი უნდა ერჩინა) დღეს ქონებრივათ დაცემული მხარეა. მისი შემოსავალი, მისი ავლა-დიდება მიწის მოსავალზე იყო დამყარებული, მაგრამ დღეს მისი ნიადაგი გამოფიტულია, მუშა ხელიც თვალ-საჩინოთ შემცირებულია. იმერეთის რჩენა კი არა, თავისი სარჩო სიმინდიც მთელი გაზაფხული და ზაფხულის განმავლობაში გარედან შემოქონდა

მიწის მოსავალს საგაისოთაც არ უჩანს კარგი პირი: ბამბა სულ აღარ მოიძევება ვენახები დაწვარი და გაფუჭებულია, სიმინდებიც განახევრებულია. შიმშილობა მომავალშიც მოსალოდნელია. (ქონებრივ სიღატაკეს ზედ ერთვის გონებრივი სიბრმავე და სიღატაკე. აქ მეტათ გავრცელებულია იმერული დავიდარაბა და საჩივარი, რასაც ხელს უწყობენ ადგილობრივი საპოლიციო და სასამართლო დაწესებულებები. ჩვენში დავიდარაბასა და საჩივრებში დახელოვნებული პირები ბლომათ იპოვება და მათგან მშვიდობიან მცხოვრებს მოსვენება სანატრელათ გახდომია. ამის შედეგი არც სასიამოვნო გვაქვს: ორი დღის განმავლობაში ამ ნიადაგზე სოფელ დვალიშვილებში ბიძაშვილმა, გვარათ დვალიშვილმა, თავისივე ბიძაშვილი მოჰკლა, სოფელ სალხინოში ცოლ-ქმარი—ლორთქიფანიძენი მოჰკლეს, თუმცაღა მკვლელი ვერ იპოვეს, მაგრამ აშკარაა ორ[illegible] მკვლელობა კერძო ინტერესობისა და იმავე დავი-დარაბის ნიადაგზეა აღმოცენებული.

მაგრამ, მიუხედავათ ყოველივე ამისა, ხალხის უმრავლესობას გამოფხიზლებაც კი ეტყობა: სოფლებში გზებს აფართოვებენ და აკეთებენ, რაც ალაგ ალაგ ქუთაისშიც ვერ მოუხერხებიათ, სოფ. ამაღლებაში დაარსეს ოთხკლასიანი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ჯერ-ჯერობით ორი კლასი გახსნა, აქვე ფოსტა-ტელეგრაფის გახსნის შესახებ შესაფერი განა[illegible]დგინეს, აქვე არსებობს უფასო საფერშლო პუნქტი, ნდობის ამხანაგობა, უახლოებელეს საჭიროებას წიგნ-საცავ სამკითხველო შეადგენს რაც იმედი გვაქვს ამდენ ამბავს აუცილებლათ მოყვება.

უმრავლესობის ასეთს ნაყოფიერ მოქმედებას უმცირესობის დავი-დარაბა, საჩივარი, ბანქობა და ლოთობა ეღობება წინ, რასაც, უნდა იმედი ვიქონიოთ, შეგნებული საზოგადოების გავლენით მალე ბოლო მოეღება და ამაღლების საზოგადოება, რომელშიც სოფელი ბზვანი შედის, ამ კუთხეში ერთი მოწინავე სოფლის საზოგადოებათაგანი დარჩება.

დასასრულ ერთი შენიშვნაც: ამაღლების საზოგადოება [illegible]რიამშიც არსებობს, ხშირათ ამ ორი საზოგადოების სახელზე მთავრობის მიწერ-მოწერა, თუ კერძო წერილები ერთმანეთში ირევა. ასეთი უხერხული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ამაღლების საზოგადოებას „წყარვანის, განა ინაშაურის“ საზოგადოება დაერქვას, ეს მით უმეტესი საჭიროა, რომ ჩვენში ფოსტა-ტელეგრაფის გაყოფილებაც იხსნება. **გაუ-აფხაზი.**

დაბა ცაგერი. (ლეჩხუმის მაზრა)

სხვა ამბებთან ერთად სასიამოვნო ამბავიც მოგვიტანეს გაზეთებმა. გარდაცვალებულ დეპუტატ ვარლამ გელოვანის სახელობის სამკითხველოს და სახალხო სახლის ასაშენებლათ, მოსკოვის ქალაქთა კავშირმა გადასდო 3000 მანეთი. ეს თანხა ჩვენს ღარიბ დაბას თვალსაჩინოთ დასწევს წინ. ამ დაბაში არის, უმაღლეს დაწყებითი ოთხ კლასიანი სასწავლებელი, ორ კლასიანი სამინისტრო შკოლა, ერთ კლასიანი საქალებო სასწავლებელი და სახალხო სამკითხველო, რომელიც დღემდი დიდ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდგან მისი უმთავრესი სახსარი იყო წევრების გადანახადი ფული, რომელთა რიცხვი უკანასკნელად საგრძნობლათ შემოელია, ტ რომ დღემდის მიაღწია, უნდა უმადლოდეთ კნეინა ტიჩი გელოვანისას, და სამინისტრო შკოლის ზედამხედველ მასწავლებელს ვარლამ კაციას ძე გელოვანს. ამ სამკითხველოს თავმჯდომარეთ დღემდის იყო უმაღლეს დაწყებითი ოთხ კლასიანი სასწავლებლის ინსპეკტორი ჯავიშია, რომელიც სხვაგან გადაიყვანეს და ნაცვალი თავმჯდომარეობა სთხოვეს ლეჩხუმის მაზრის უფროსს ქელბაქიანს, რომელმაც სიამოვნებით მიიღო საზოგადოებისთვის შრომა. თავმჯდომარის ამხანაგათ ერთ ხმით აირჩიეს თავადი შოთა გელოვანი. იმედია ბატონ ქელბაქიანის და გელოვანის მაცადინეობით სახალხო სახლს აშენებს, რომელშიდაც მოთავსდება [illegible]მკითხველო და თეატრიც, მალე მო[illegible]წრებით. დღემდის სამკითხველო მისი დაარსებიდან ბ. ვარლამ ახვლედიანების და ევსების შენობაში იყო მოთავსებული, რომლებიც დიდი მადლობის ღირსნი არიან შენობის ამ ხნის განმავლობაში უსასყიდლოთ დათმობისათვის. როგორც კრებაზე აზრი გამოითქვა ასეთ შენობის მოწყობას რა საკვირველია ეს თანხა არ ეყოფა მარა ვფიქრობთ დეპუტატ ვარლამის პატივის მცემლები სიამოვნებით გამოიღებენ ცოტაოდენ წვლილს, და მით მისცემენ საშვალებას ცაგერში იარსებოს ამ კულტურულ დაწესებულებამ, რათა სინათლე მოეფინოს განსვენებულ დეპუტატის სამშობლო ლეჩხუმს. დაბა ცაგერის სასწავლებე[illegible], ცხოვრებაში ცვლილება მოხდა, როცა გამოცხადდება სამი მასწავლებლის გამოცვლა განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ გელოვანის წასვლა. გელოვანი, თუ არ ვცდები მგონებ ხუთი ექვს წელიწადია ამ დაბაში მასწავლებლობდა და მშობლებთა და ბავშთა საერთო სიყვარული დაიმსახურა. მას დიდი შრომა მიუძღვის სამკითხველოს და საკრედიტო ბანკის დაარსებაში.

მეთვალყურე ქალი.

ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომიულ ორგანიზაციის საჩვენებელ მინდორთა და აგრონომიულ დახმარების ადგილთა

ს ი ა.

4. რაიონი ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრები. საჩვენებელი ნათესი სიმინდისა.

სოფ. საჯავახოში ონიფ. ზაქრაძე და ლევან დოდიასთან, ნაღაში ერმალოზ შანიძესთან, ტოლებში, ვ. ვაშალომიძესთან, ნოღაში ს. ი დიდიებთან, შუხუთში გ. ფირცხალაშვილებთან, ლანჩხუთში პარმენ და მ. ებრაელიძეებთან, ბერძნის-კარში ლაზარე ძნელაძესთან, ჩოხატაურში ნ. მამალაძესთან, ბუკნარში მ. ბუკიასთან, ნაგომარში დ. გოგიბერიძესთან, დვაბზუში რ. გოგუაძესთან და დ. დათუნაშვილთან. ლანჩხუთში სერაფიონ იმნაძესთან. ჩიბათში ვლადიმერ ჭყონიასთან,

მანჯურიის და ადგილობრივი ღომი.

სოფ. ნოღაში გ. შანიძესთან, ლესაში მ. და გ. სარჯველაძესთან.

საჩვენებ. ბაღები.

სან. ლანჩხუთში იჯარით აღებულ ალაგზე, საჩვენ. საზღელი ბაღები.

დ. ლანჩხუთში იჯარით აღებულ ალაგზე, საჩვენებელი საცდელი ბაღები, დ. ლანჩხუთში ბ. ებრაელიძესთან, ნოღაში ე. შანიძესთან, ნანეიშვილისეულში ორკლ. სასწავლებებთან, ფარცმაში ს. თავართქილაძესთან, ხიდისთავში ვ. კალანდაძესთან,

საჩვ. წამლობა ვენახისა.

ქ. ოზურგეთში დ. მეისრანეიშვილისა, ვოსკრესენსკოიში დ. ზაიკინისა, ს ამლთოში ი. წუწუნავასი, ნოღში ერმალოზ შანიძის, ლანჩხუთში მ. ებრაელიძის, ჩიბათში ვ. ჭყონიასი. ნანეიშვილისეულში ორკლ. სასწავლებელთან, შუხუთში ე. იმნაიშვილის, ნიგოთში ი. გოგიშვილის, ქეიანში ს. ფირცხალაშვილის, ნოღაში ე. შანიძის, ლანჩხუთში კ. იმნაძის, სუფსაში სიმ. ბლაგიძ ქალ. ოზურგეთში ვენახი დ. მეისრანეიშვილის სოფ. ბახვში ი. დოლიძესი და ,, ს. გოგონაძის, სოფ. ჯვარისხმაში პ. პაიჭაძის, სოფ. ფარცხმაში ს. ცინცაძის, სოფ. ერკეთში ფ. მარის სოფ. საყვავის ტყეში ვლად. შარაიძის, სოფ. ბუკის ციხეში ს. გუგუშვილის.

საჩვენ. ბოსტანი.

სოფ. საჯავახოში ან. ჯინჭარაძესთან, სოფ. ლანჩხუთში მ. ებრაელიძესთან, სოფ. ნოღაში ერ. შანისესთან, სოფ. ზემოხეთში ალ. ხუნდაძესთან.

V რაიონი სენაკის ნაწილი ზუგდიდის მაზრისა.

(აგრონომი ბოგდანოვი—ახ.-სენაკი)

სარჩევნ. ნა[illegible] [illegible]რისა.

სოფ. ხეთაში 2 კლას. სასწავლებელთან—ქალებ., ზუგდიდში დ. ჩიხუასთან, ცაიშში 2 კლას. სასწავლებელთან, ხორშაში ფ. ქემულარიასთან და ,, ,, ფ. ,, ,, (ჭვავი), ნოსირში გ. თოფურიძესთან.

საჩვენებ. ნათესები სიმინდის:

დ. ახალსენაკში, ალ. კალანდარაშვილთან, ,, ,, ფრ. ჯარკვასთან, სოფ. ნატოხაოში გ. კალანდარაშვილთან, სოფ. ძველ სენაკში ან. ბარკალაიასთან, ნაქალაქევში სამ. ხურცილავასთან, ბეთლემში ივანე შაუდიასთან, ეკში ნ. ნინუასთან, ნოსირში გ. თოფურიძესთან, სეთაში 2 კლას. ქალების სასწავლებელთან, ძოძორში ხეიძესთან.

ვენახების საჩვენებელი წამლობა.

ახალ სენაკში. ვენახი ალექსანდრე კალანდარიშვილის, ძველ-სენაკში ნიკ. [illegible], სოფ. ნაქალაქევში ნეს. გაგუასი სოფ. ეკში ნ. ნინუასი, სოფ. ნოსირში გ. თოფურიძის და ,, ,, [illegible] დიდი იოს. ქვარიასთან, სოფ. [illegible] რიასთან, სოფ. ხორშაში სასწავლებლის, სოფ. თეკლათში დ. გვარამისი და სოფ, ,, ,, ეგლესასთან, სოფ. სუჯუნაში დ. ჯინტრიძის. სოფ. შხეფში გ. კვარცხავასი სოფ. გურგ[illegible] კინცურაიშვილი გ. კინცურაიშვილის.

საჩვენებელი სასწამლო ბაღებისა:

დ. ახალსენაკში მ. ჯღარკავასთან, ს. ნოსირში გ. თოფურიძის, ს. ხეთაში 2 კლას ქალებ. სასწავლებელთან, ქ. ზუგდიდში იოს ჭვარაიასთან, ს. ცაიშში 2 კლას. სასწავლებელთან ს. ხორშაში 2 კლას. სასწავლებელთან, ს. სუჯუნაში დ. ჯინტრიძესთან ხოფში ბატუ ცგადაიასთან, აბაშაში ალექსი კაჭარავასთან.

შემოდგომის კომბოსტო:

სოფ. ნოსირში გიორგი თ[illegible]ურიძესთან ხეთაში ქალ. 2 კლას. სასწავლებელთან. ზუგდიდში იოსებ ქვარაიასთან.

საჩვენებელი ბოსტნები:

სოფ. სუჯუნაში. დიანოს ჯინტრიძესთან ხოფში ბატუ ცხადაიასთან, აბაშაში ბესარიონ კაჭარავასთან.

——

სოფ. კახათში სიმინდი, ნიკოსიაში სიმინდი ნაჯიხევში ვენაის წამლობა, საჯიჯაოში კორცხში, ხობუნაში, ბიაში.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად თქვენ პატივცემულ გაზეთის „სამშობლო“ საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ რომლებმაც შემოსწირეს, „ნოჩხათის უფასო წიგნსაცავ სამკითხველოს თავისი წვლილი:

ფერშალს ექვთიმე ორაგველიძეს, რომელმაც ერთი დღის შემოსავალი ავათმყოფების გასინჯვით 23 მ. შამოსწირა, ნადია ხომერიკს, რომელმაც თავის ნაცნობებში მოაგროვა 27 მ. და 19 შ., ფილიპე გიორგაძეს, რომელმაც შესწირა 10 მან. თედორე გობრონიძემ—4 მან. სალომონ სარიშვილმა ერთი მაგიდა ღირებული 10 მან., [illegible] ჭანტურიამ 3 მ., კოწია ჭანტურიამ 3 მ ლადიკო მგელაძემ 2 მ., ერმილე ჩხატიშვილმა 2 მან., ისიდო ტუღუშმა 1 მ., ერმილე ხუციშვილმა 1 მ. და ერთი სკამი, ალექსანდრე სანთელაძემ ნინოშვილის სურათი ღირებული 7 მან., ნესტორ შათირიშვილმა —1 მ., ვანო გიორგაძემ—1 მ., ბიკტორ გუჯაბიძემ—1 მ., გიორგი თავართქილაძემ ერთი ბეჭედი (ჭტემპელი).

განსაკუთრებით მადლობის ღირსია ფერშალი ექვთიმე ორაგველიძეს, უხვი შემოწირულობისთვის.

მზრუნველი კომიტეტის თავჯდომარე
თედორე გობრონიძე.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი
მაია—მათე უაჩალათ წოდებული.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში
მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,
შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი
ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.
თვ.

---

*) ახირებული განცხადებაა! რედაქციები ვერ დაბეჭდვენ უწმაწურსა და აშკარა პორნოგრაფიულ ლექსებს. **რედ.**